ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ტიპოლოგიზაცია და შინაგანი იერარქიულობის პრობლემა

ეკატერინე ჯულაყიძე, ზინაიდა ჩაჩანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Email: Ekaterine.julakidze@atsu.edu.ge; zinaida.chachanidze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2022.835

თანამედროვე ტექსტის ლინგვისტური კვლევები, განურჩევლად ტექსტობრივი სივრცისა, ცხადია უნდა განხორციელედეს, ინტერდისციპლინარულ მეთოდოლგიაზე დაყრდნობით. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად ლიტერატურული და ნებისმიერი ტექტობივი სივრცი დადგენა უნდა ხდებოდეს როგორც თანამდეროვე ლინგვისტიკაზე, ასევე ჟურნალისტურ ჟანრთა თეორიაზე და კულტურის თანამდეროვე თეორიაზე დაყრდნობით. აღასანიშნავია, აგრეთვე, რომ მოცემული ინტერდისციპლინარულობის ფონზე მეთოდოლოგია უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, რაც ნიშნავს შემდეგს, რომ ნებისმიერი სხვა დისციპლინის მონაცემები უნდა იყოს თეორიულად აქტუალიზირებული იმდენად, რომდენადაც ეს აუცილებელი იქნება მოცემული ტექსტობრივი სივრცის განსაზღვრისათვის. რაც შეეხება თავად ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შინაგან სტრუქტურას, ეს სტრუქტურა გამჭოლი სახით ატარებს პარადიგმულ ხასიათს და ასახავს ლინგვისტური კვლევისათვის განმსაზღვრელ და ფუძემდებლურ პარადიგმულ სიტუაციას.

შესაბამისად, მსურს განვსაზღვრო და ჩამოვაყალიბო ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ტიპოლოგიური ნიშნები, რომლებიც ჯგუფდებიან შემდეგნაირად:

პირველ ასეთ ტიპოლოგიურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ამ მეთოდოლოგიის **კომპლექსურობა** [პოლინსკი 2007:117]. ეს მეთოდოლოგია პარადიგმათა სახით უნდა შეიცავდეს კვლევის ლინგვოკულტუროლოგიურ, ინტერტექსტუალურ და სინერგეტიკულ პარადიგმებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტის ლინგვისტური კვლევა პარადიგმული თვალსაზრისით უნდა იყოს ერთდროულად ლინგვოკულტუროლოგიური, ინტერტექსტუალური და სინერგეტიკული.

ასევე მნიშვნელოვანია ინტედისციპლინარული მეთოდოლოგიის შემდეგი ნიშანი: როგორც გვიჩვენებს ჰუმანიტარული აზოვნების (კერძოდ ლინგვისტიკის) უახლესი ისტორია, აღნიშნული ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია განიცხდის უწყვეტ ტრნსფრომაციას. თუკი ტექსტის ლინგვისტური კვლევის პრობლემის გადასაჭრელად, არც

თუ ისე დიდი ხნის წინ სავსებით საკმარისი იყო ინტერდისციპლინარულობის წმინდა ლინგვოკულტუროლოგიური გაგება, ანუ ენის ლინგვოსემიუტიკური პარადიგმის და კუტურის თანამედროვე ხედვის სინთეზი, მიმდინარე ეტაპზე აუცილებელია „დიადის“ შევსება ინეტერტექსტუალურობის პარადიგმით, ანუ „დიადას“ ჩაენაცვლება „ტრიადა“. თუკი ინტერდისციპლინარულობის საწყის ეტაპზე, ლინგვისტურად გაგებული ტექსტობრივი ასპექტი (ტექსტობრივი სივრცე) საჭიროებდა ლინგვოკულტუროლოგიურ ახსნას, შემდგომში აუცილებელი გახდა თვით ამ ორი პარადიგმის სინთეზის ინტერტექსტუალური განმარტება. და ბოლო ეტაპზე კი გამოიკვეთა ინტერდისციპლინარულობის სრულიად ახალი ხედვა - სინერგეტიკული პარადიგმა. უკვე განსაზღვრული და ამ პარადიგმაზე დაფუძნებული სინთზი საჭიროებს სინერგეტიკულობის, როგორც უახლესი მეთოდოლოგიური პარადიგმის თვალსაზრისზე დაფუძნებას.

აღნიშნულიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თანამედროვე ინეტრდისციპლინარიზმი ხასიათდება არა მარტო კომპლექსურობით, არამედ **დინამიზმითაც**. დროთა განმავლობაში იცვლება ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის შინაგანი პარადიგმული სიტუაცია.

მესამე ტიპოლოგიური ნიშანი უნდა დავასახელოთ იმ ლოგიკური ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, რომლითაც კომპექსურობისა და დინამიზმის ფარგლებში ხასიათდება ინტერდისციპლინარულობა. კერძოდ, ყოველი ახალი პარადიგმა ცდილობს მოახდინოს წინა პარადიგმის თეორიული ექსპლიკაცია, ანუ დაგვანახოს მისი სიღრმისაული გენეტიკური და ფუნქციური საფუძლები. აქედან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ ამგვარად დანახული ინტერდისციპლინარული მეთოდოლგია ხასიათდება ტექსტის, როგორც ფენომენის სიღრმისეულ შრეთა ხედვის შესაძლებლობებით.

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ტიპოლოგიური ნიშნების განსაზღვრისას გაიჟღერა სინერგიულობის ან „სინერგეტიზმის“ პარაგიმამ, რომელიც იმეპრატიულად მოითხოვს მისი როგორც საკვევი პარადგიმის ჩართულობას ლინგვისტურ კვლებევში. შესაბამისად, აუცილებლად მიმაჩნია ორიოდე სიტყვით მიმოვიხოლო წარმოდეგნილი პარადიგმა.

სინერგიულობის კონცეპტი და თავად სინერგიულობის პარადიგმამ თანამედროვე აზრივნებაში დაიწყო დამკვიდრება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი მკვლებარი ბ. კანკე ამბოს, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნაევრიდან დაიწყო რთულ სისტემათა თეორიული ათვისება. და სწორედ ამასთან დაკავშირებით გამოჩნდა სპეციფიკური მეცნიერება სინერგეტიკა (ბერძნულიდან synergia[1] - ანუ თანამშრომლობა), გაგებული როგორც რთულ სისტემათა თვითორგანიზაციის თეორია. ტერმინი „სინერგეტიკა“ კი შემოთავაზებულ იქნა 1969 წელს გერმანელი ფიზიკოსისა და მათემატიკოსის გ. ხაკენის მიერ. შესაბამისად სინერგეტიკის ასაკი დაახლოებით ოცდაათი წელია და იგი უნდა უნდა მივიჩნიოთ ძალიან ახალგაზრდა მეცნიერებად (კანკე 2001:312).

---

[1] Online Etymology Dictioanry. მოძიებული 17 მაისი, 2013
http://www.etyonline.com/index.hph.allowed_in_frame=0&search=grammar=&searchmode=none

სინერგიულობის პრობლემა ჰუმანიტარულ სფეროში გადმოსულია ბუნებისმეტყველების სფეროდან, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ იგი სულ მეტად მკვიდრდება ამ სფეროში და ფიზიკამდე და მისგან დამოუკიდებლად სინერგიის ბიზანტიურ ღვთისმეტყველური ცნების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც არსებობს ორი ენერგიის, ღვთიურ და ადამიანურ, ენერგიათა ჰარმონიული თანამშრომლობა, ჩაისახა და არსებობს ქრისტრიანულ-მართმადიდებლური ანთროპლოგია.

ინტერდისციპლინარულობის ზემოთ განსაზღვრული შიდაპარადიგმული სტრუქტურა დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტიკისთვის, არამედ მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისათის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნება და კვლევა ატარებს მკვეთად გამოხატულ ინეტრდისციპლინარულ ხასიათს. ხსენებული ინეტრდისციპლინარული მეთოდოლოგია კი თავის მხრივ ხასიათდება კომპექსურობითა და დინამიზმით. რაკი თვით მეთოდოლოგიის ინეტრდისციპლინარულობა ატარებს ზოგადჰუმანიტარულ ხასიათს, იგი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ინარჩუნებდეს კომპექსურობას და დინამიზმს ზემოთ განმარტებული გაგებით. მაგრამ აღნიშნულ მსჯელობას მივყავართ შემდეგ მნიშვნელოვან კითხვასთან: როგორი უნდა იყოს ინტერდისციპლიარული კვლევის **შინაგანი იერარქიულობა?**

ინტერპარადიგმული მიდგომა თავის მხრივ გულისხმობს განხსვავებულ პარადიგმათა სინთეზს. როგორც ვიცით, ინტერპარადგიმული სტრუქტურა თანამდეროვე ეტპაზე მოიცავს სამი განსხვავებული პარადიგმის ურთიერთთანამშროლობას ტექსტლოგიული კველების შემთხვევაში, ესენია ლინგვოკულტუროლოგიურია, ინტერტექსტუალურობა და სინერგეტიზმი. მართალია, ამ მეთოდოლოგიის შინაგანი კომპლექსურობიდან გამომდინარე ყველა მასში შემავალი პარადიგმა უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად, მაგრამ ასევე ვერ ავუვლით გვერდს უკვე აღნიშნული ტრიადის შინაგან იერარქიულობასაც. ეს კი თავისთავად გვიბიძგებს ტრიადის რომელიმე წევრი მივიჩნიოთ ფუძემდებლად.

ნებისმიერი იერარქიულობის განსაზღვრისათვის საჭიროა კრიტერიუმი, ანუ თვალსაზრისთა წინასწარ მოცემულობა, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს იერარქიულობა. და სწორედ ამ კრიტერიუმის დადგენის პრობლემას ართულებს თავად კვლევითი მეთოდოლოგიის ხაზგასმული თავისებურება. ინტერდისციპლინარულობა, თავად ამ ტერმინის მნიშვნელობის მიხედვით, გულისხმობს განსხვავებულ დისციპლინათა (ან ამ დისციპლინებისთვის დამახასიათებელ პარადიგმათა) ურთიერთთანამშრომლობასა და სინთეზს. მაგრამ, როგორც ვიცით, ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია ხასიათდება მეორე ნიშნითაც, სახელდობრ ლინგვისტურად ცენტრირებულობით. სწორედ ეს თავისებურებაა, რაც ქმნის მეთოდოლოგიური სიტუაციის ნახსენებ სირთულეს, რადგან ამ შემთხვევაში იერარქიულობა შეიძლება განისაზღვროს ორ განსხვავებულ კრიტერიუმზე დაყრდნობით: ა) თუ მხედველობაში მივიღებთ თავად ინტერდისციპლინარიზმს როგორც მეთოდოლოგიურ მიმართულებას, მაშინ ხაზი უნდა გაესვას მის ზოგადჰუმანიტარულ ხასიათს. შეუძლებელია დავასახელოთ რომელიმე ჰუმანიტარული დისციპლინა, რომელიც არ ხასიათდება ინტერდისციპლინარულობით; ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიფართოვისა და ყოვლისმომცველობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა და იერარქიული

პირველობა ენიჭება **სინერგიულობას** (და არა ინტერტექსტუალურობას ან ლინგვოკულტუროლოგიას); ბ) მეორეს მხრივ, ჩვენი მეთოდოლოგია არის არა მხოლოდ ინტერდისციპლინარული, არამედ ლინგვისტურად ცენტრირებულიც და ვერ მივიჩნევთ, რომ ლინგვისტურად ცენტრირებულობა ჩვენი კვლევისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ინტერდისციპლინარულობა. ამ კრიტერიუმზე დაყრდნობის შემთხვევაში კი უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა და იერარქიული პირველობა ენიჭება **ინტერტექსტუალურობის** პარადიგმას. ჩვენს წინაშეა ორი ფუძემდებლური პარადიგმა – სინერეგიულობისა და ინტერტექსტუალურობის პარადიგმები - რამაც დაგვაყენა მეთოდოლოგიური დილემის წინაშე. რომ ორივე ამ პარადიგმას შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი უფლება ხსენებულ ფუძემდებლობაზე, თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დილემის გასაწრელად მსჯელობაში ერთვება ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, რომლის წიაღშიც მოხდა ზემოთ ნახსენები პარადიგმების „დაბადება“ და საჭირო ხდება თავად ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის თეორიულ-გენეტიკური განსაზღვრა: ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს თანამედროვე კულტუროცენტრიზმს როგორც კვლევის ზოგადჰუმანიტარული პრინციპის თორიულ „ვარიანტს“, თავად კულტუროცენტრიზმი კი გენეტიკურად და შინაარსობრივად უკავშირდება ანთროპოცენტრიზმს -ადამიანს, როგორც ფენომენ ყურადღების ცენტრში მოქცევის მცდელობას.

ინტერპარადიგმულობა გულისხმობს თეორიისა და მეთოდლოგიის სინთეზსაც, და რაკი თანამდეროვე აზრობნებაში ხდება დისციპლინათა ურთიერთდაახლოება, რაც თავის მხრივ პარადიგმათა იერარქიულობისაკენ გვიბიძგებს, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მაღალი იერარქიულობის პარადიგმები, ესენია: ანთროპოცენტრიზმი, კულტუროცენტრიზმი და ლინგვოკულტუროლოგია.

კველვის იტერდისციპლინარული მეთოდოლოგია წარმმართველია დღესდღეობით არამარტო ლინგვისტურ სფეროში. თანამედროვე კვლევები იმერატიულად მოითხოვს განსხვავბული მეთოდებისა და მიდგომების სინთეზს კვლევის უფრო ზუსტ შედეგზე გასასვლელად. ტექსტუბრივ და ლინგვისტურ კვლებებთან დაკავშირებულ კი წარმოდგენილი იტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ტიპოლოგიზაცია, ვფიქრობ, საინტერესო და საჭირო საფუძველი იქნება ინტედისციპლინაულობის გაგების გზაზე. ასევე, კველევის პროცესში იერექიულობის კრიტერიუმის დადგენა უშუალოდ გვეხმარება ინტერდისციპლინარიზმი არსის გაგებაში.

ლიტერატურა:

1. კანკე ვ. 2001 - Канке В., (2001). Концепций сщвременного естествоведения, москва, ст. 312
2. ლადო რ. 1957 - Lado R. (1957). Linguistics across Cultures. Syntactic Structures. Ann Arbor, VII+141 p.
3. ლებანიძე გ. (2004). კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა".

4. პოლინსკი მ. 2007 - Polinsky M. Kluender, R. (2007). Linguistic typology and theory construction, pdf, - pp. http://www. fas.harvard. Language Teaching. 23: 1990, 143-151.

Ekaterine Julakidze, Zinaida Chachanidze
Akaki Tsereteli state University

Problem of Inner Hierarchy and Typology of Interdisciplinary Methodology

Abstract

The main aspect of the modern humanitarian thinking is the link of two fundamental methodology such as interparadugmality and interdisciplinarity. The padigme means how the scientific discipline considers the researched object on the certain stage of it's existence. The methodological discipline studies an aspect of the reality.
The modern understanding of the interdisciplinary methodology means textual researches on the bases of linguistics, journalist genre theory and modern cultural theory. It leads us to the typological features of the interdisciplinarity methodology. These typological features are grouped as follows: The first typological sign should be considered as an internal **complexity** of this methodology. From the paradigm standpoint, our research should be simultaneously linguocultural, intertextual and synergetic. The next typological sign of the interdisciplinary methodology is **dynamism**. Since at the initial stage of interdisciplinarity, the linguistically understood textual aspect required linguoculturological interpretation, then it has become necessary to provide intertextual interpretation of linguoculturology itself. And at this final stage the paradigm synthesis needs to be based on synergetism as a completely new methodological paradigm. The third typological sign should be named on the bases of logical interrelation, where interdisciplinarity is characterized by complexity and dynamism. **So, from this point of view we should consider that the interdisciplinary methodology is characterized by the capacity of seeing through the inner layers of the text phenomenon.** Interparadigmal mythology is the synthesis of the theory and the methodology. We can name the paradigms of a higher hierarchy, they are: anthropocentrism, culturocentrizm and linguoculturology. As to the intertextuality and sinergetizm, in spite of their great importance and validity toward textual research these paradigms just beginning to be established in modern linguistics.